ნაყინის წარმოების ინდუსტრიის კვლევა

მომზადებულია 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით

2020წელი

შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ნაყინის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური კოეფიციენტები

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება ნაყინის წარმოების ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, პირველი, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული კომპანიები ეკუთვნის პირველ, მეორე და მესამე ზომით კატეგორიებს, აქედან აუდირებულია მხოლოდ 2 კომპანია.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2018 წლის მონაცემებს, ყურადღება გამახვილებულია ბაზრის ლიდერ კომპანიებზე, რომელთა რაოდენობაც შეადგენს 7-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ნაყინის პროდუქტების ბაზრის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი ნაყინის წარმოებასა და ექსპორტ-იმპორტზე, მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ვებგვერდიდან.

კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს ნაყინის მწარმოებელ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა აღემატება 101 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი 103 მილიონ ლარს, ხოლო ჯამური მოგება დაბეგვრამდე აღწევს 8 მილიონ ლარს.

კვლევამ გამოავლინა ინდუსტრიის ლიდერი კომპანიები შემოსავლების, აქტივებისა და მოგების მიხედვით.

მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ კომპანიებს ნაყინის წარმოების ინდუსტრიაში გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 5%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 8%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის, ეფექტურობისა და გადახდის უნარიანობის შესახებ.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა 2018 წლის კომპანიების საშუალო მონაცემები კატეგორიების მიხედვით. მოცემული 7 კომპანიიდან ერთი წარმოადგენს პირველ კატეგორიას, მეორე კატეგორიაშიც გვყავს ერთი კომპანია, ხოლო დანარჩენი ხუთი კომპანია ერთიანდება მესამე კატეგორიაში.







ნაყინის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ნაყინის ბაზარი ეტაპობრივად იზრდება და ვითარდება, რასაც ადასტურებს ბაზარზე გამოჩენილი ნაყინის მწარმოებელი ახალი კომპანიები, თუმცაღა ქვეყანას აქვს პოტენციალი აწარმოოს გაცილებით მეტი და მაღალი ხარისხის ნაყინი, რომლებიც შეესაბამება ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე გაიზრდება, ნაყინის მწარმოებელი კომპანიების რაოდენობა და შესაბამისად წარმოების მოცულობაც.

ანგარიშგების პორტალის ვებ-გვერდის მონაცემების თანახმად 2018 წელს, ნაყინის მწარმოებელმა კომპანიების რაოდენობამ შეადგინა 7.

აღნიშნული კომპანიების გეოგრაფიული არეალი ძირითადად მოიცავს, აღმოსავლეთ საქართველოს. ქვემოთ საქართველოს რუკაზე, დატანილია ნაყინის მწარმოებელი კომპანიების ადგილმდებარეობა:

ნაყინის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს იმპორტირებული ნაყინის საერთო ღირებულება გაიზარდა წინა წლებთან შედარებით, რაც მიუთითებს მოთხოვნის ზრდაზე ან პროდუქციის ფასის მატებაზე. 2018 წელს იმპორტირებული ნაყინის საერთო ღირებულებამ 2,720 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს 3,013 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი ნაყინის იმპორტი, 2019 წლის მონაცემებით შემდეგია: თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, სომხეთი და რუმინეთი .

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, საიდანაც შემოდის ნაყინის ძირითადი ნაწილი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, იმპორტის ღირებულებამ შეადგინა 1,302 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს 1,000-ს აშშ დოლარს გადააჭარბა. თურქეთის შემდეგ, მოდის რუსეთის ფედერაცია, 2018 წელს 377 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2019 წელს 511 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ნაყინის იმპორტი განხორციელდა.

ტოპ ქვეყნებიდან ყველაზე ცოტა შემოდის რუმინეთიდან 2018 წლის ჩათვლით არ ხორციელდებოდა ნაყინის იმპორტი, ხოლო 2019 წელს დაფიქსირდა 141 ათასი აშშ დოლარის ნაყინის იმპორტის ღირებულება.

ნაყინის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს იმპორტირებული ნაყინის საერთო რაოდენობა შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც მიუთითებს ადგილობრივი წარმოების ზრდაზე. 2018 წელს იმპორტირებული ნაყინის საერთო რაოდენობამ 904 ტონა შეადგინა, ხოლო 2019 წელს 755 ტონამდე შემცირდა.

ტოპ ხუთი ქვეყანა, საიდანაც ხორციელდება ძირითადი ნაყინის იმპორტი რაოდენობის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით შემდეგია: თურქეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი და ბელორუსია.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია იმპორტის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, საიდანაც შემოდის ნაყინის ძირითადი ნაწილი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2018 წელს, იმპორტის რაოდენობამ შეადგინა 322 ტონა, ხოლო 2019 წელს 291 ტონამდე შემცირდა, მსგავსი ტენდენცია შეინიშნება უკრაინისა და სომხეთის შემთხვევაში, ხოლო ბელორუსიასა და რუსეთის შემთხვევაში 2019 წელს იმპორტის რაოდენობა გაიზარდა წინა წელთან შედარებით და ჯამში შეადგინა 140 ტონა, აქედან 102 ტონა იყო რუსეთიდან იმპორტირებული.

ნაყინის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

რაც შეეხება ექსპორტს, საკმაოდ მცირე რაოდენობით ხორციელდება ნაყინის ქვეყნიდან გატანა, თუმცაღა საინტერესოა სად გადის და რამდენი. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის თანახმად, 2019 წელს ექსპორტირებული ნაყინის საერთო ღირებულებამ შეადგინა 9 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს საერთოდ არ განხორციელებულა ნაყინის ექსპორტი.

ქვეყნები, სადაც ხორციელდება ნაყინის ექსპორტი ღირებულების მიხედვით, შემდეგია: უზბეკეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ექსპორტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით, ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა:

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ღირებულების ექსპორტი განხორციელდა 2016 წელს, 62 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ნაყინი გავიდა აზერბაიჯანში. 2019 წელს ნაყინის ექსპორტი განხორციელდა უზბეკეთში, 9 ათასი აშშ დოლარის.

რაც შეეხება ნაყინის ექსპორტს რაოდენობის მიხედვით, შემდეგია:

ტონა



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2016 წელს, აზერბაიჯანში დაფიქსირდა, ექსპორტის ყველაზე დიდი რაოდენობა, 19 ტონა, ხოლო 2019 წელს უზბეკეთში 5 ტონა.

ნაყინის ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ იმპორტიორ ქვეყნებში თურქეთი უპირობო ლიდერია, საინტერესოა როგორ იცვლებოდა ტოპ ქვეყნები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია ტოპ ხუთი იმპორტიორი ქვეყნები წლების მიხედვით:

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

ათასი, დოლარი



წყარო:International Trade Center

როგორც გრაფიდან ჩანს, საკმაოდ ცვალებადია ტოპ იმპორტიორი ქვეყნები და მათ მიერ იმპორტირებული საქონლის ღირებულება.

ტოპ 3 ნაყინის მწარმოებელი კომპანია შემოსავლების მიხედვით (2018წ)

აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს დანარჩენი ნაყინის მწარმოებელი კომპანიების ჯამური შემოსავლის 92%-ს.



მთლიანი აქტივების მიხედვით, ტოპ 3 კომპანია ნაყინის წარმოების ინდუსტრიაში (2018წ)



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 3 კომპანია ნაყინი წარმოების ინდუსტრიაში (2018წ)



ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2018 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად დადგინდა ნაყინის მწარმოებელი კომპანიების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 3.9 და 1,1, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.



მომგებიანობის კოეფიციენტები

ნაყინის მწარმოებელთა კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: მთლიანი მოგების მარჟის კოეფიციენტი 4%, წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 5%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 8%-ს.
უნდა აღინიშნოს შემოსავლის მარჟის კოეფიციენტები, რაც აღემატება 61%-ს, ეს ინდიკატორი წარმოადგენს მაჩვენებელს თუ თვითღირებულებასთან შედარებით, რამდენ პროცენტზე მეტად ყიდის კომპანია თავის პროდუქტს. დიდწილად სწორედ ეს მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიის მომგებიანობის განსაზღვრას. თუმცა, აღსანიშნავია საკმაოდ მაღალი დანახარჯები ინდუსტრიაში და მისი სეზონური ბუნება რის გამოც, მოგების მარჟა შეადგენს მხოლოდ 4% -ს.



ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2018წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. ნაყინის მწარმოებელთათივს მაჩვენებელი უტოლდება 0,55-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 2,32-ს რაც მიუთითებს იმაზე რომ ვალდებულებები მხოლოდ ორჯერ აღემატებ კაპიტალურ დანახარჯებს.



ეფექტურობის კოეფიციენტები

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი უტოლდება 6,3-ს, ნაყინის მწარმოებელი კომპანიებისთვის, რაც არის მაღალი მაჩვენებელი და მეტყველებს იმაზე, რომ კომპანიებს არ უჭირთ მათი მარაგების რეალიზება. ზოგადად, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მეტია გაყიდვების რაოდენობა და ნაკლებ დროს ატარებს წარმოებული პროდუქტი საწყობში.



აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი ნაყინის მწარმოებელთა ინდუსტრიაში უტოლდება 1,1-ს მწარმოებელთათვის,. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში.

AGIC

რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 40-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია “AGIC” არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 85-ზე მეტ ქვეყანაში.

0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო

(995 322) 500 130

(995 599) 34 33 48

info@agic.ge